

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2021 წლის 25 ივნისი

აბაშა

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 25.12.2020, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.110.016425) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

თავი I. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	13,757.2	14,665.2	7,944.8	6,720.4	11,954.0	5,205.3	6,748.7
გადასახადები	6,722.2	6,342.4	0.0	6,342.4	6,234.7	0.0	6,234.7
გრანტები	6,762.8	8,099.2	7944.8	154.4	5,445.3	5,205.3	240.0
სხვა შემოსავლები	272.2	223.6	0.0	223.6	274.0	0.0	274.0
II. ხარჯები	7,460.8	7,280.0	216.7	7,063.3	7,315.6	225.9	7,089.7
შრომის ანაზღაურება	1,783.3	1,821.0	0.0	1,821.0	1,846.4	0.0	1,846.4
საქონელი და მომსახურება	1,133.0	952.5	171.6	780.9	1,028.6	182.2	846.4
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	52.0	33.3	0.0	33.3	26.6	0.0	26.6



სუბსიდიები	3,002.6	3,469.9	0.0	3,469.9	3,641.8	0.0	3,641.8
გრანტები	20.0	4.0	0.0	4.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	591.1	850.3	0.0	850.3	611.6	0.0	611.6
სხვა ხარჯები	878.8	149.0	45.1	103.9	160.6	43.7	116.9
III. საოპერაციო სალდო	6,296.4	7,385.2	7,728.1	-342.9	4,638.4	4,979.4	-341.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,303.0	8,922.2	8,320.1	602.1	5,704.4	5,265.8	438.6
ზრდა	6,415.2	8,922.2	8,320.1	602.1	5,704.4	5,265.8	438.6
კლება	112.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
V. მთლიანი სალდო	-6.7	-1,537.0	-592.0	-945.0	-1,066.0	-286.4	-779.6
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-6.7	-1,588.4	-592.0	-996.4	-1,117.4	-286.4	-831.0
ზრდა	1,597.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,597.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1,604.3	1,588.4	592.0	996.4	1,117.4	286.4	831.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	1,604.3	1,588.4	592.0	996.4	1,117.4	286.4	831.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	0.0	-51.4	0.0	-51.4	-51.4	0.0	-51.4
კლება	0.0	51.4	0.0	51.4	51.4	0.0	51.4
საშინაო	0.0	51.4	0.0	51.4	51.4	0.0	51.4
სესხები	0.0						
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0						
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	15,473.6	16,253.6	8,536.8	7,716.8	13,071.4	5,491.7	7,579.7
შემოსავლები	13,757.2	14,665.2	7,944.8	6,720.4	11,954.0	5,205.3	6,748.7
არაფინანსური აქტივების კლება	112.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	1,604.3	1588.4	592.0	996.4	1,117.4	286.4	831.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13,876.0	16,253.6	8,536.8	7,716.8	13,071.4	5,491.7	7,579.7
ხარჯები	7,460.8	7,280.0	216.7	7,063.3	7,315.6	225.9	7,089.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,415.2	8,922.2	8,320.1	602.1	5,704.4	5,265.8	438.6
ვალდებულებების კლება	0.0	51.4	0.0	51.4	51.4	0.0	51.4
ნაშთის ცვლილება							

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს **11,954.0** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13,757.2	14,665.2	7,944.8	6,720.4	11,954.0	5,205.3	6,748.7
გადასახადები	6,722.2	6,342.4	0.0	6,342.4	6,234.7	0.0	6,234.7
გრანტები	6,762.8	8,099.2	7,944.8	154.4	5,445.3	5,205.3	240.0
სხვა შემოსავლები	272.2	223.6	0.0	223.6	274.0	0.0	274.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს **6,234.7** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი



			ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,722.2	6,342.4	0.0	6,342.4	6,234.7	0.0	6,234.7
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	5,673.9	5,392.4		5,392.4	5,234.7	0.0	5,234.7
ქონების გადასახადი	1,048.3	950.0	0.0	950.0	1,000.0	0.0	1,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	573.9	509.0		509.0	527.0	0.0	527.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-4.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3.1	1.0	0.0	1.0	3.0	0.0	3.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	334.9	380.0	0.0	380.0	330.0	0.0	330.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	140.9	60.0	0.0	60.0	140.0	0.0	140.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 5,445.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
გრანტები	6,762.8	8,099.2	5,445.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	16.1	4.4	90.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	6,746.7	8,094.8	5,355.3
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	470.5	680.8	253.7
კაპიტალური ტრანსფერი	5,435.5	6,914.0	4,601.6
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	840.7	500.0	500.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		500.0	500.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 274.0 ათასი ლარით:



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	272.2	223.6	274.0
შემოსავლები საკუთრებიდან	98.8	70.0	105.0
პროცენტები	46.2	0.0	35.0
რენტა	52.6	50.0	70.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	50.4	40.0	39.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	35.0	26.0	30.0
სანებართვო მოსაკრებელი	4.2	6.0	10.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	30.8	20.0	20.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	15.4	14.0	9.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	91.1	113.6	130.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	31.9	0.0	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 7,315.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,460.82	7,280.0	216.7	7,063.3	7,315.6	225.9	7,089.7
შრომის ანაზღაურება	1,783.3	1,821.0	0.0	1,821.0	1,846.4	0.0	1,846.4
საქონელი და მომსახურება	1,133.0	952.5	171.6	780.9	1,028.6	182.2	846.4
პროცენტები	52.0	33.3	0.0	33.3	26.6	0.0	26.6
სუბსიდიები	3,002.6	3,469.9	0.0	3,469.9	3,641.8	0.0	3,641.8
გრანტები	20.0	4.0	0.0	4.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	591.1	850.3	0.0	850.3	611.6	0.0	611.6
სხვა ხარჯები	878.8	149.0	0.0	149.0	160.6	43.7	116.9



მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **5,704.4** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **5,704.4** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 0.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	47.8	17.9	75.5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	47.8	17.9	75.5
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	4.8	9.9	19.5
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	43.0	7.4	54.8
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	0.0	0.6	1.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4,881.9	6,513.9	5,514.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,775.8	4,454.7	2,052.1
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2,775.8	4,334.3	2,049.4
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	0.0	120.4	2.7
02 02	ბინათმშენებლობა	341.0	746.6	924.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14.8	244.6	1,734.9
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	759.9	210.4	153.8
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	439.9	535.7	510.9
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	550.5	17.0	5.0
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	550.5	5.0	0.0
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	0.0	12.0	5.0
02 09	ტურიზმი	0.0	0.0	0.0
02 10	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	0.0	304.9	134.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	4.7	0.0
03 02	მწვანე ნარგავების შექმნა	0.0	4.7	0.0
04 00	განათლება	630.4	2,172.3	98.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	71.6	4.9	41.0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	558.8	2,165.7	57.0
04 03	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია	0.0	1.7	0.0



05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	0.0	0.0	0.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	0.0	0.0	0.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0.0	0.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	855.1	213.4	16.2
06 02 02	ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	855.1	213.4	16.2
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	6,415.2	8,922.2	5,704.4

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	112.1	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	2.7	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	109.4	0.0	0.0
მიწა	109.4	0.0	0.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,487.5	2,827.4	2,912.1
7.1 1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,435.5	2,629.6	2,813.1
7.1 1 1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,435.5	2,624.9	2,803.1
7.1 1 2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	4.7	10.0
7.1 6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	84.7	79.0
7.1 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	52.0	113.1	20.0



7.2	თავდაცვა	70.4	0.0	0.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	0.0	0.0	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	4705.4	5,275.8	2,783.8
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,287.0	210.4	153.8
7.4.5	ტრანსპორტი	2,867.8	4,494.7	2,052.1
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,867.8	4,494.7	2,052.1
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	0.0	0.0
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0
7.4.7.3	ტურიზმი	0.0	0.0	0.0
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	550.5	570.7	577.9
7.5	გარემოს დაცვა	969.2	325.7	340.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	321.0	340.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	969.2	0.0	0.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0.0	4.7	0.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1,111.7	2,292.7	3,748.8
7.6.1	ბინათმშენებლობა	1,076.9	791.7	967.7
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0
7.6.3	წყალმომარაგება	0.0	0.0	0.0
7.6.4	გარე განათება	14.8	516.6	2,074.4
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	20.0	984.4	706.7
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	1,255.0	723.1	392.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	116.1	121.2	155.8
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,138.9	601.9	236.2
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	977.2	979.6	984.9
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	318.4	313.0	332.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	585.8	582.6	614.9
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	23.0	34.0	35.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50.0	50.0	3.0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0
7.9	განათლება	1,972.9	3,439.0	1,497.2
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1,086.4	1,125.1	1,320.0



7.9 2	ზოგადი განათლება	886.5	2307.3	177.2
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	886.5	2307.3	177.2
7.9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	6.6	0.0
7.10	სოციალური დაცვა	326.8	390.3	412.6
7.10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
7.10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2.1	2.0	2.0
7.10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	53.7	59.8	60.8
7.10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	182.0	220.0	228.0
7.10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	8.0	8.0
7.10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0.0	0.0	0.0
7.10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	89.1	100.5	113.8
	სულ	13,876.0	16,253.6	13,071.4

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 1,066.0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 4,638.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	6,296.4	7,385.2	4,638.4
მთლიანი სალდო	-6.7	-1,537.0	- 1,066.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -1,117.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-6.7	-1,588.4	-1,117.4
ზრდა	1,597.6	0.0	0.0



ვალუტა და დეპოზიტი	1,597.6	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0
კლება	1,604.3	1,588.4	1,117.4
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0	0.0
სესხები	1,604.3	1,588.4	1,117.4

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აბაშის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 285.7 ათას ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 235.7 ათასი ლარი.

თავი II. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6,532.6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,532.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,052.1
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2,049.4
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2.7
02 02	ბინათმშენებლობა	967.7
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,734.9
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	153.8
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	577.9
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	912.2
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	
02 07 02 01	ქალაქის გარე განათება	339.5
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	572.7



02 10	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	134.0
-------	--	-------

პროგრამის დასახელება	კოდი 02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათას ლარში 2,049.4
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - 40 000 ლარით;</p> <p>პროგრამა მოიცავს გზის მოწყობას ასფალტო-ბეტონით, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით: დაგეგმილია აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. გამოდმა ზანათში სასაფლაოს მიმდებარედ №8 ქუჩისა და შესახვევის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 233 384 ლარით; ქალაქ აბაშაში გზების ორმული შეკეთება 957 896 ლარით; აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რკინა-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები - 300 000 ლარით; აკაკის პირველი და მეორე შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 151 400 ლარით; რუსთაველის პირველი შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 161 350 ლარით; აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმული შეკეთება - 150 000 ლარით; ქ. აბაშაში რკ. სადგურის მოედნის მოწყობის სამუშაოები - 2 200 ლარით; ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩა N7-ის, კეთილირი- გულიეკარის გზის და ცანავას ქუჩის მოწყობის სამუშაოები - 35 600 ლარით; ქ. აბაშის ტერიტორიაზე ტროტუარების მოწყობის სამუშაოები - 1 600 ლარით; სოფ. გამოდმა ზანათში არკის მოწყობის სამუშაოები - 16 000 ლარით.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას		

პროგრამის დასახელება	კოდი 02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში 2.7
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხველობის სამსახური; მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს საავტომობილო მაგისტრალზე მარეგულირებელი შუქნიშნებისა და ქვეითთა გადასასვლელის აგრეთვე შემზღვეველი ბარიერის და საგზაო ნიშნების მოწყობას.</p> <p>საავტომობილო მაგისტრალის ქალაქ აბაშის მონაკვეთზე მარეგულირებელი შუქნიშნების და ერთი ქვეითთა გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები - 2 756 ლარი;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დამონტაჟებული ვიდეო-კამერებით დანიშნულების გახსნის მაჩვენებლის ზრდა; მოწესრიგებული და უსაფრთხო საგზაო მოძრაობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	------------------------	---------------------------



	02 02	967.7
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხველობის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა მოიცავს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული თანხით შემდეგ პროექტებს: აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობის სამუშაოები - 607 844 ლარით; აბაშის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული შენობების, სოფ. სუჯუნის კულტურის სახლის და ქ. აბაშაში თავისუფლების ქ. №102-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოები - 207 700 ლარით; აბაშის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის, ადმინისტრაციულ შენობებში რემონტისა და ქალაქ აბაშაში კვანთანის უბანში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოები - 14 100 ლარით; აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობის სამუშაოები - 31 400 ლარით; აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოლოზნის ტერიტორიაზე ავტომაგისტრალის მიმდებარედ აგრობაზრის მოწყობის სამუშაოები - 2 900 ლარით; 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით (საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) - 2 600 ლარით; ქალაქ აბაშაში თავისუფლების ქუჩა N35 და N70 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოები - 1 200 ლარით.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აბაშის მუნიციპალიტეტში აგრო-ბაზრის მშენებლობა 100 000 ლარი; (მათ შორის: 90.0 ათასი ლარი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი; 10.0 ათასი ლარი თანადაფინანსება) რომლის მიზანია აბაშის მუნიციპალიტეტში ტრადიციული რეწვის განვითარება, ადგილობრივი პროდუქტების აგრო-ბაზრის და ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გარემო ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის და სხვა ვიზიტორებისათვის	

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		1,734.9
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული თანხით აბაშის მუნიციპალიტეტში გარე-განათების მოწყობის სამუშაოებს 1 734 900 ლარით;		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად, მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიის 70%.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		153.8
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და	პროგრამა მოიცავს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული თანხით ქ. აბაშაში ნოღოხაშის უბანში შუბლაძის ქუჩის გასწვრივ რკინა ბეტონის სანიაღვრე არხისა და შემოღობვის სამუშაოებს - 97 141 ლარით; 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით დაფინანსება - 11 500 ლარით; აბაშის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების		



მიზანი	ამოწმენდისა და ხიდე-ბოგიერების მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად - 33 600 ლარით; ქალაქ აბაშაში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხებისა და ხიდე-ბოგიერების მოწყობის სამუშაოები - 11 500 ლარით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული სანიაღვრე არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		577.9
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში გათვალისწინებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები სოფლების მოთხოვნების შესაბამისად		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 01		339.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. აბაშაში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; • ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; • დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (წელიწადში 240.0 ათასი ლარი). 		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად, პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 02		572.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება ნარგავების მორწყვა და ნიადაგის გაფხვიერება, განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების და გზების ნაპირების გაცეკვითი სამუშაოები, რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაითიბება სასაფლაოების ტერიტორიები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		134.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; ასევე ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ასევე ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება. შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **340.0** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	340.0
03 01	ქალაქის დასუფთავება	340.0



03 02	მწვანე ნარგავების შექმნა	
-------	--------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		340.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში დასუფთავების სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგვროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი სპეც ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ნორიო, სამიქაო, მაიდანო, გეზათი, ონტოფო, ძვ/აბაშა, ტყვირი, ნაესაკოვო, ქოლობანი, მარანი, სუჯუნა, ზანათი, წყემი, სეფიეთი შეგროვებული ნარჩენი გადის ქ. სამტრედიის ტერიტორიის არსებულ ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 30მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 3 ნაგავზიდი სპეც ავტომანქანა.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქ აბაშის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენის გატანა, დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1,497.2** ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	1,497.2
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1,320.0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	177.2
04 03	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	-----------------------------------	------------------------



	04 01	1,320.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აბაშის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბალის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 20 ს/ბალი სადაც ჩარიცხულია 680 აღზარდელი, რაც მოიცავს ჩასარიცხ მსურველთა 85%. საძინებელი პირობების უქონლობის გამო 2-3 წლამდე ასაკის ბავშვთა მიღება ს/ბალებში ვერ ხერხდება. კონტიგენტის ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებს. აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 225 თანამშრომელი მ.შ. 20 ს/ბალის უფროსი, 59 აღმზრდელ-პედაგოგი და შემცველი, 29 აღმზრდელის თანაშემწე, 27 მზარეული და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექნიკური პერსონალი.</p> <p>სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ „საქართველოს კანონის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტები და მოქმედი სტანდარტები“, გამომდინარე აქედან შემუშავებულია სამოქმედო სტრატეგია, რომელიც სრულად პასუხობს აღზრდისა და განათლების, პროფესიული განვითარების, პროგრამის ხარისხის, სასკოლო მზაობის, ბავშვთა კვების, ინფრასტრუქტურის, სტანდარტსა და რეგლამენტს. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებულ სწავლებას, სწავლების ინდივიდუალიზაციის დაკვირვებას და შეფასებას.</p> <p>ბავშვთა კვება ძირითადად შეესაბამება რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კვება არის სამჯერადი. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები პასუხობს მოქმედ სტანდარტებს. ყოველწლიურად ხდება კვების ბლოკში დასაქმებულ პირთა ტრენინგ-სწავლება. ს/ბალები უზრუნველყოფილი არიან ცივი და ცხელი წყლით. წელიწადში ერთხელ სწავლის დაწყებამდე ტარდება წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა. გაზიფიცირებულია 5 ს/ბალი.</p> <p>ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	<p>აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 680-მდე შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-ს შეადგენს.</p>	

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		177.2
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით თანხით - 120 200 ლარი</p> <p>საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით - 57 000 ლარი.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა</p>		



მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში და ტრანსპორტით უზრუნველყოფილი მოსწავლეები
--------------------	---

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **984.9** ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გაგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	984.9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	332.0
05 01 01	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	220.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	100.0
05 01 05	სპორტული ღონისძიებები	12.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	649.9
05 02 01	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	598.9
05 02 02	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	35.0
05 02 03	სხვა კულტურული ღონისძიებები	16.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	3.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		220.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტის ცენტრი აერთიანებს 12 სპორტულ სახეობას ესენია: ბ/პოკეი (45 ბავშვი), ბ/რომაული ჭიდაობა (32 ბავშვი), რაგბი (16-18 ბავშვი), ძიუდო (16-18 ბავშვი), ჯადრაკი (20 ბავშვი), კრივი (16 ბავშვი), მ/წიგბურთი (16 ბავშვი), კალათბურთი (16 ბავშვი), ტაეკვონდო (16 ბავშვი), მძლეოსნობა (16 ბავშვი), ნიჩბოსნობა (16 ბავშვი), ველოსპორტი (10 ბავშვი) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 230 ბავშვი, საწვრთნელი პროცესები უტარდებათ 3-4 ჯერ. სპორტის ცენტრში დასაქმებულია 37 ადამიანი მათ შორის 9 ადმინისტრაციული პერსონალი, 16 მწვრთნელი, 12 ტექნიკური პერსონალი. ცენტრის აღსაზღვრელი პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მამტაბით ასევე საზღვარგარეთ.		



	<p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; • მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის და მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მამულებით.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ზანა“.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ფეხბურთის პოპულარიზაცია, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სკოლისგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ჯანსაღი და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დამკვიდრება, ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მიწოდება.		
მოსალოდნელი შედეგი	საფეხბურთო შეჯიბრებებზე მაქსიმალური სპორტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზება ამაღლებული სპორტული შედეგების მიღწევით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		12.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. წარმატებული სპორტსმენებისა და მოწავლეების ფასიანი საჩუქრებით წახალისება; 2. სპორტული ფორმები; 3. თასები, მედლები, სიგელები; 4. სპორტის პარაოლიმპიური სახეობა „ბოჩასა“ ჩემპიონატის მოსაწყობად საჭირო ინვენტარის შეძენა; 5. წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის; 6. ღონისძიების მონაწილეთა კვება; 7. თემატური ბანერები <p>პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდების ჩართვა სპორტის სახეობებში, წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები; ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული სპორტსმენები.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		598.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის, საქმიანობის სფერო ძირითადად მიმართულია მუნიციპალიტეტის მოსახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო საინფორმაციო მომსახურების ფარგლებში. ამ მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: საშობაო მსვლელობა „ალილო“ ინტელექტუალური თამაშ - კონკურსი „ვიმოგზაურით საქართველოში“ 1921-2021 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ციკლობრივი ღონისძიებები. „ქალები ცხოვრების შუაგულში“ (შეხვედრა სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ქალებთან). ქალთა და დედის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის „შშმ პირთა მხარდაჭერის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 82-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. „სამი სავარძელი შემოქმედითა“ - შეხვედრა შემოქმედ ადამიანებთან. „ვეფხვის ტყაოსნის“ სამაგიდო თამაშის ტურნირი. ენის დღისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსი. „ჩვენ ვსწავლობთ ცხოვრებას კოვიდთან ერთად“ (საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით). სახალხო ზეიმი „კონსტანტინეობა“. ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. აქციის „ღამე მუზეუმში“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. პროექტის „ვეროპის დღეები“-ს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები:</p> <p>თემატური კონფერენცია- საუკეთესო თემების პრეზენტაცია, მე-2 დღე- საზეიმო ცერემონიალი. ვ.გამსახურდიასა და ს.ჩიქოვანის სახლ-მუზეუმებისათვის საუკეთესო გიდების გამოსავლენი კონკურსი. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. კონფერენცია გენდერულ საკითხებზე სკოლის მოსწავლეებისთვის(გენდერული თანასწორობა, გენდერული ძალადობა, ოჯახში ძალადობა) .საინფორმაციო შეხვედრა ს/ზაღების აღმზრდელებთან _შშმ-აღსაზრდელთა საჭიროებებისა და მიდგომების მეთოდები. გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი (6 მაისი, 23 ნოემბერი), საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღებისადმი, - 9 მარტის, 9 აპრილის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი, 9 მაისისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიებები. ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. „მთლად უცნაურზე უცნაური წყურვილით ვიწვი“-ედღენება ქართველი პოეტის ნოდარ ნარსიას დაბადებიდან 70-ე წლისთავს. სოფლის ზეიმი "ტირიფობა". სოფლის სახალხო დღესასწაული "გულიერობა". ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. "გალაკტიონი 150"- შეხვედრა "გალას" პრემიის ლაურეატებთან, ვიქტორინა "ყველაფერი გალაკტიონის შესახებ". სახალხო დღესასწაული "აბაშობა". ლიტერატურულ - მუსიკალური საღამო "აფხაზეთი საქართველოა". ევროპის მემკვიდრეობის დღეები. მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღვაწმოსილ, ცნობილ აბაშელ ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოები. საქართველოს ეროვნული ინტელექტ- ჩემპიონატი "ეტალონი" (შიდა მუნიციპალური შესარჩევი და რესპუბლიკური ტურები). სფირების კონკურსი. ხელოვნების სკოლის აღსაზრდელთა მონაწილეობა: თემურ ახობაძის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა პირველ საერთაშორისო კონკურსში, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირ "ჰარმონია"-ს კონკურსში "ნორჩი ვირტუოზი", "მხიარული ნოტები" - ის პირველ და მეორე შესარჩევ ტურებში; საგუნდო მუსიკის ფესტივალში. ხელოვნების სკოლის აღსაზრდელთა შიდა სასკოლო კონკურსები. ფოლკლორული ანსამბლების, ჯგუფების მონაწილეობა რეგიონალურ, ქვეყნის მასშტაბით გამართულ კონკურს - ფესტივალებში, დღესასწაულებში, გასვლითი კონცერტები. საახალწლო საზეიმო კონცერტები. თემატური ღონისძიებები ბიბლიოთეკებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით. (ხელფასი და სხვა)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		35.0
ქვეპროგრამის			



განმახორციელებელი	ა(ა)იპ „საინფორმაციო მაუწყებელი - აბაშის მაცნე“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია დიდი იყოს გაზეთის როლი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მუშაობაში, გაზეთის საშუალებით გაშუქდეს მიმდინარე ახალი ამბები, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, ასევე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე

პროგრამის დასახელება	კოდი	სხვა კულტურული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		16.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი: „აბაშის საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალი“; ფესტივალის მიზანია კინოხელოვნების პოპულარიზაცია, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთიდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან; ქვეპროგრამა ითვალისწინებს საახალწლოს და სხვადასხვა სახის შემხვედრი ღონისძიებების დაფინანსებას.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა და კინოხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების აღმოჩენა, წარმოჩენა, მათი ინტერესების სფეროს განვითარება, ჩვენი მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		3.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერას, ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, ახალგაზრდობაში სამოქალაქო აქტივიზმის კულტურის დანერგვა.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად ახალგაზრდობისათვის ეფექტური წინაპირობის შექმნა მმართველობის პროცესში მათი ჩართვის მიზნით. წარმატებული მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **804.6** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	804.6
06 01	ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება	155.8
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	155.8
06 02	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	236.2
06 02 01	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება	220.0
06 02 02	ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	16.2
06 03	სოციალური დაცვა	412.6
06 03 01	მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა	72.0
06 03 02	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა)	30.0
06 03 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	1.8
06 03 04	მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (0-დან 18 წლის ასაკამდე) ოჯახების დახმარების პროგრამა.	21.0
06 03 05	ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა	38.0
06 03 06	სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შედეგად გარდაცვლილი მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები	2.5
06 03 07	გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.	4.0
06 03 08	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	10.0
06 03 09	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.	4.0
06 03 10	დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა.	35.3
06 03 11	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი) მქონე პირების დახმარების პროგრამა.	38.0
06 03 13	მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	106.0
06 03 14	ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უზუცესთა დახმარების პროგრამა.	2.0
06 03 16	ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	35.0
06 03 17	თავშესაფარის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა	8.0
06 03 18	სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0



პროგრამის დასახელება	კოდი 06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	ათას ლარში 155.8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური		
